მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ (ᲮᲔᲨᲕᲐᲜᲘ) №10 (409) (5776) 2015

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

18-20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Ბ-ᲜᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲑᲘᲜᲘᲐᲛᲘᲜ ᲜᲔᲗᲐᲜᲘᲐᲰᲣ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲝᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ.

18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲜᲔᲗᲐᲜᲘᲐᲰᲣᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲐᲖᲔ, �თᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲡ „ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲛᲐᲗᲗᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡ“.ᲗᲥᲕᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ.

ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜ ᲚᲔᲕ ᲚᲔᲕᲐᲔᲕᲡ: „ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲒᲜᲔᲑᲘᲡ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ �გᲐᲓᲐᲕᲣᲮᲐᲓᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲐ ᲐᲛ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲑᲘᲜ ᲑᲔᲚᲐᲖᲐᲠᲡ“.

ᲔᲐᲔᲙ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲘᲜᲚᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ �კᲘᲔᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲘᲜᲚᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲡ,ᲡᲐᲓᲐᲪ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲩᲚᲔᲜᲝᲕᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲘᲰᲘᲚᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ. ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲘᲜᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲔᲐᲔᲙ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲨᲢᲔᲠᲜᲤᲔᲚᲓᲡ,ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲔᲑᲠᲐᲣᲚ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ. ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲩᲚᲔᲜᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲢᲔᲠ ᲕᲐᲘᲜᲪᲘᲠᲚᲘ.

ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲘᲜᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ �გᲔᲜᲐᲓᲘ ᲢᲠᲣᲮᲐᲜᲝᲕᲡ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲞᲐᲕᲔᲚ ᲕᲣᲒᲔᲚᲛᲐᲜᲘ — „ᲰᲘᲚᲔᲚ — ᲝᲓᲔᲡᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ. ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲘᲜᲚᲛᲐ ᲓᲐ �გᲔᲜᲐᲓᲘ ᲢᲠᲣᲮᲐᲜᲝᲕᲛᲐ �გᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲘᲜᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲠᲝᲛ ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ �გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ.



ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ?

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ Forbes-ᲘᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲘᲕᲠᲘᲗᲣ-ᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲘᲢᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲐ. ᲐᲛ ᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲙᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲝᲗᲮᲘᲐ ᲘᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ. ᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲔ-12-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ (ᲘᲪᲮᲐᲙ) ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ 9 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲨᲔᲙᲔᲚᲡ. ᲛᲔ-18-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲨᲙᲔᲕᲘᲩᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ 7.2 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲨᲔᲙᲔᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ, 25-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲜᲔᲕᲖᲚᲘᲜᲘ—5.2 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲨᲔᲙᲔᲚᲘ, ᲮᲝᲚᲝ 29-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ — ᲚᲔᲕ ᲚᲔᲕᲐᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ 4.5 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲨᲔᲙᲔᲚᲘᲐ.

ᲞᲝᲠᲢᲐᲚᲘ ,,ᲘᲖᲠᲣᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ: Ი�გᲝᲠ ᲙᲝᲚᲝᲛᲔᲘᲡᲙᲘ, ᲢᲔᲚᲛᲐᲜ ᲘᲡᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘ, ᲕᲐᲓᲘᲛ ᲠᲐᲑᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲫᲐᲑᲔᲡ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ, ᲗᲐᲕᲡ ᲔᲡᲮᲛᲘᲐᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ. �გᲐᲘᲫᲐᲮᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ „ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲘᲤᲐᲓᲐ“, ᲒᲐᲚᲔᲡᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

<u>რედაქტორის გვერდი</u>

ახალი წელი

აჰა, მოვიდა ახალი წელი! უკვე ერთ თვეზე მეტია სამყაროს შექმნიდან 5776-ე წელიწადი გვიდგას. საქართველო ნათელი, მზიანი დღეებით შეეგება ებრაული კალენდრის ახალი წლის მობრძანებას და პირველი ადამიანის—ადამის დაბადების დღეს. ჩვენი ქვეყნის რაოდენობრივად შეთხელებული ებრაელობა სულიერი თრთოლვით, მოწიწებით ემზადებოდა ახალი წლისათვის — ყოველი განთიადისას თბილისის ორ ბეით ქნესეთში—ქართველ ებრაელთა დიდ სალოცავსა და „ბეით რახელში“, რომელსაც ადრე აშკენაზების ლოცვას ეძახდნენ, (დღეს კი აქ, სამწუხაროდ, ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელ აშკენაზსაც ვერ ნახავთ, ისინი



ისრაელში,თუ სხვა ქვეყნებში ეგებებიან ებრაულ დღესასწაულებს),იმართებოდა სელიხოთის მხურვალე ლოცვა.

სელიხოთი კი შემოდგომის დღესასწაულების მოახლოების მაუწყებელია—როშ ჰა შანას, ქიფურს, სუქოთს, ანუ კარვობას, შემოდგომის დღესასწაულებსაც ვეძახით.უხვად მოწეული მოსავლით,თაფლით, ხილით ვიწყებთ ახალი წლის ცხოვრებას—ადამიანები სახეგაბრწყინებულნი უსხდებიან ახალი წლის სუფრას.

შემოდგომის დღესასწაულები ერთგვარი დემონსტრირებაა თემის ყოფისა—იმისა, თუ როგორ, რა სულისკვეთებით ცხოვრობს იგი.

რა გვიჩვენა როშ ჰა შანის,იომ ქიფურის, თუ სუქოთის დღეებმა? როგორია დღეს—5776 წლის დამდეგს, საქართველოს ებრაელთა ყოფა, რა არის მასში მთავარი, როგორი ტენდენცია მკვიდრდება? მართალია, ყოველი ებრაელი ერთნაირად არ მსახურებს უზენაესს, მართალია, ყოველისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი არ

გახლავთ ღვთისეული ცნებებისადმი დამოკიდებულება, ამდენად,არც სალოცავიდან დანახული რეალობა იქნება ყოვლისმომცველი და სრული, მაგრამ ბეით ქნესეთი მაინც ფიქსატორია ებრაელთა ყოფის ზოგადი სურათისა. აქ ბევრი რამ იყრის თავს, თითქოსდა, პროჟექტორის შუქის ქვეშ ექცევა (აქვე განვმარტავთ, რომ ჩვენი მსჯელობა ძირითადად ემყარება „ბეით რახელში“ თავჩენილ რეალობას, დღეს რელიგიურ-აღმზრდელობითი ცენტრი სწორედ ამ სალოცავში ძლიერდება).

მთავარი: იუდეველთადმი ტრადიციულად მეგობრულად განწყობილ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ დიდძალმა ებრაელობამ, მაქსიმალურმა უმრავლესობამ, ისტორიულ სამშობლოს, აშშ-ს, რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებს მიაშურა, თბილისში ებრაული თემი კვლავაც არსებობს და არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, ძლიერია. და რაც ერთობ მნიშვნელოვანია, რიცხობრივ სიმცირეს არ გამოუწვევია ეროვნულ-რელიგიური ღირებულებებისადმი ინტერესის განელება. პირიქით: ჩვენი რელიგიური მოღვაწეების—თალმიდ-ხახმების, უწინარესად კი, არიელ ლევინისა და მისი მოწაფეების ძალისხმევით, გაძლიერებულია ებრაელთა რელიგიის, ისტორიის, წეს-ჩვეულებების შესწავლის სურვილი. დღეს თემის წამყვან ძალას წარმოადგენს ახალი თაობა, რომელიც თანდათან იმკვიდრებს ადგილს ქალაქის ებრაულ, და არა მხოლოდ ებრაულ, ცხოვრებაში. ეს თაობა ძირითადად ბიზნესსაქმიანობას ეწევა. ბიზნესი კი მოგეხსენებათ, ზოგისთვის წარმატებულია, ზოგისთვის...როგორც ყოველთვის. (თუმცაღა, ვამჯობინებდით იგი ყველასთვის წარმატებული იყოს). ეს ახალი თაობა ესწრაფვის ღრმად გაიცნობიეროს, შეისისხლხორცოს თავისი ეროვნული რაობა. მაქსიმალურად ცდილობს მისდიოს ცხოვრების ებრაულ წესს ირონიულად შესცქერის ლიდერომანიით დაავადებულ პერსონებს, რომლებიც სარგებლობენ საქართველოში ტრადიციული ებრაელობისადმი პატივისცემის ატმოსფეროთი, სულიერად კი... მათი ქმედებები დაცილებულია ჭეშმარიტ ებრაულ ღირებულებებს.

„ბეით რახელის“ გაბაი იოსებ მოშიაშვილი სიმარჯვით ხასიათდება, ცდილობს და აღწევს კიდეც ყოველი გაბაის უმთავრეს მიზანს—დღესასწაულის, შაბათს, თუ სადაგ დღეებში მლოცველებს შეუქმნას ლოცვის რიტუალისათვის სათანადო პირობები. სალოცავში გამეფებულია სწორედ ის ატმოსფერო, რომელიც უნდა იყოს, რომ ადამიანმა გასწიოს ღვთისმსახურება. აქ ვერ გაიგებთ აღალ-მაყალს, დაპირისპირებას, უკმაყოფილების შეძახილებს ამათუიმ გარემოების გამო. ებრაულ სიმღერებს კი ხშირად გაიგონებთ. აქ გაბაი და თალმიდ-ხახმები ქმნიან ლოცვის,საზეიმოსაც კი, ატმოსფეროს. ამიტომ აქ ლოცვის რიტუალი, ღვთისმსახურება, არა მხოლოდ შემეცნებითი, სასიამოვნო პროცესიც გახლავთ. უმადურობა და დაუნახაობა იქნებოდა იმის თქმა,რომ ქართველ, ე.წ. ახალციხელ ებრაელთა სალოცავის გაბაი მერაბ ჩანჩალაშვილი ძალისხმევას აკლებდეს, ასევე არ ცდილობდეს ბეით ქნესეთში იყოს სალოცავისათვის დამახასიათებელი ატმოსფერო, მაგრამ სამწუხაროდ, აქ მაინც განსხვავებული სიტუაციაა.

როგორ ჩავატარეთ როშ ჰა შანა, ქიფური—ყოველი ებრაელისათვის ერთობ რთული, განკითხვის დღე და სუქოთი?

„ბეით რახელში“ ლოცულობდნენ ამ ბეით ქნესეთის ხაზნები: ავიმელეხ როზენბლატი, აჰარონ მდინარაძე და იაკობ დავითაშვილი. ლოცულობდნენ გატაცებით, გულითადად—ღვთისადმი ვედრების ინტონაციით და ჯამაათის პატივისცემით (ი. დავითაშვილი დროდადრო საჭირო კომენტარსაც იძლეოდა). ქიფურში იერუსალიმიდან საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოს ყოფილი მთავარი რაბინი არიელ ლევინი (სამწუხაროა: არიელ ლევინს, როგორც მთავარ რაბინს, ნამყო დროში ვიხსენიებთ — ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს თემში წამოწყებული აგრესიული ლიდერომანიის ნამსხვრევები არიელ ლევინსაც მოხვდა--სხვათა ღირსების შელახვა,ტალახში ამოსვრა გაიხადეს განდიდების საშუალებად, ამის სამარცხვინო მაგალითი ჯამაათს „სამართლიანობისათვის მებრძოლმა“,სინამდვილეში კი საქართველოს ებრაელთა კონგრესის თანათავმჯდომარის სავარძლის ხელში ჩაგდებისათვის გამეცადინებულმა ჯ.ხუხაშვილმა მისცა),რომელმაც თავისი შესანიშნავი ლოცვით, მართლაც რომ დაატკბო ჯამაათი. ღვთისადმი ვედრების პროცესი იმდენად სასიამოვნო, ჰარმონიული იყო, ჯამაათის წევრები, რომლებიც 26-27 საათი მარხულობდნენ, ფეხზე იდგნენ და უზენაესს ადიდებდნენ, ლოცვის დამთავრების შემდეგაც არ იშლებოდნენ. ლოცვის,ებრაული ვედრების დიდებული ჰანგები ხაზანთა ღაღადისი განაპირობებდა ერთიანობის,მეგობრული ურთიერთობის ატმოსფეროს. ამგვარი ატმოსფეროს შექმნაში ტონის მიმცემი კი არიელ ლევინი და მისი აღზრდილები გახლდნენ.

„ბეით რახელი“ დილიდანვე სავსე იყო. ნაშუადღევს კი, ნეყილის წინ,ხალხმა კიდევ უფრო იმატა. ამ დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ახალი თაობის თბილისელი ებრაელების მისწრაფება ეროვნულ-რელიგიური ფესვების მარადიული სიცოცხლისაკენ—„ბეით რახელი“ რამდენიმე თვე იოლად გასწვდება აუცილებელ ხარჯებს.

ამ სალოცავის რელიგიურ ლიდერთა გონივრული მუშაობის დასტური გახლდათ დღესასწაულის დღეებში, ბეით ქნესეთში მოზარდთა სიმრავლე. ავიმელეხ როზენბლატის, აჰარონ მდინარაძის, იაკობ დავითაშვილის მიერ აღზრდილი, თუ აღსაზრდელი გოგონები და ვაჟები, „ორ ავნერის“ სკოლის (ხელმძღვანელი--„ხაბადის წარმომადგენელი საქართველოში—მეირ კოზლოვსკი)მოსწავლეები, რომლებიც ამ დღეებში ერთობ მრავლად იყვნენ „საქალებოსა“ თუ დარბაზში, გულს სიამედ ეფინებოდა. „ბეით რახელის“ კედლებში ხომ სიწყნარე არასოდეს არ არის, აქ მუდამ ჟრიამულია. დილას, საღამოს, თუ შუადღეს,აქ რაღაც ხდება, ეს „რაღაც“ კი სხვა არაფერია, თუ არა ლოცვა, ან რელიგიის საფუძვლების, თორის, ტრადიციების გაკვეთლები.

სუქოთის შემობრძანების საღამოს სუქაში შეკრებილი ისრაელიანნი ერთმანეთს ლოცავდნენ, საქართველოსა და ისრაელში მშვიდობის, სიჯანსაღის, ხელხვავიანობის წელიწადს ისურვებდნენ.განსაკუთრებული ხალისიანობით,ლოცვის ჯანსაღი ტრადიციების დაცვით გამოირჩეოდა სიმხათ თორა.ადამიანებს სიხარული ედგათ გულში, სიხარული აღბეჭდვოდათ სახეებზე.ეს სიხარული იმ ათი სეფერ თორისადმი სადღესასწაულო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა, რომელიც გამოაბრძანეს.

* * *

შემოდგომის დღესასწაულების წინ გამოვიდა ებრაული სათემო სახლის, „თიფერეთ ცვის“, „ბეით რახელის“, ახალგაზრდული მოძრაობა „მომავლის სამყაროს“ და ხესედ ლუბავიჩის „ორ ავნერის“ მიერ მომზადებული ებრაული კალენდრები.ეს კალენდრები ყოველი ებრაული ოჯახის აუცილებელი ატრიბუტია,რადგან ყოველ კალენდარში მითითებულია შაბათის, დღესასწაულების შემობრძანების, სანთლის ანთების დრო, თუმცა, პოლიგრაფიული თვალსაზრისით, „ორ ავნერის“ კალენდარი გაცილებით ხარისხოვანია.

თბილისის ჯამაათი სიხარულით, სიკეთის მოლოდინით შეეგება საშემოდგომო დღესასწაულებს. სიხარულის, წარმატების წელიწადს უსურვებდნენ ერთმანეთს.

ასეც ინებოს უზენაესმა!

საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი ისრაელში

საქართველოს და ისრაელის პრეზიდენტების ერთობლივი განცხადებები მედიისათვის



ისრაელში საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს და ისრაელის პრეზიდენტებმა, ოფიციალური დახვედრის ცერემონიის შემდეგ, მედიისათვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

„ჩვენ ვართ პატარა ერები, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიას აშენებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ დავძლიოთ სირთულეები და ავაშენოთ მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემო საკუთარ რეგიონში“, -აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მწუხარება გამოთქვა ისრაელში გახშირებული ტერაქტების გამო და განაცხადა, რომ ჩვენ ქვეყნებს აქვთ ხანგრძლივი ტარადიცია დაძლიონ ძალადობა მშვიდობით და საერთო ღირებულებებით.

„ჩვენ ვიცით, რომ ძალადობის ძალადობით დამარცხება შეუძლებელია, ძალადობა სიყვარულით უნდა დავძლიოთ - საერთო მიზნებითა და იდეებით“, -აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია და ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მოლაპარაკებების, მშვიდობიანი და დიპლომატიური გზითაა შესაძლებელი.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს საგარეო მიზნების მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებებისა და სამართლის ნორმების მტკიცე დაცვით.

მარგველაშვილმა ისრაელის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისათვის.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, საქართველო, როგორც წამყვანი გეოპოლიტიკური როლის მქონე ქვეყნა, ქმნის ახალ შესაძლებლობებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კავშირის გაძლიერებისათვის. ეს კავშირები მნიშვნელოვანია, ყველასათვის, ვინც ფიქრობს სასარგებლო პროექტების განვითარებაზე, კეთილდღეობასა და მომავალზე და არა, სხვა ადამიანების უფლებების დარღვევაზე.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების მიზანია, გააღრმავოს ეკონომიკური ურთიერთობები და უკვე არსებული თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებში.

პრესკონფერენციაზე ისრაელის პრეზიდენტმა რუვენ რივლინმა საქართველოსა და ისრაელის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთერთი უძველესი ებრაული დიასპორა ჰყავს.

„ეჭვგარეშეა, რომ საქართველო ისრაელის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა კავკასიის რეგიონში. საქართველო ისრაელის მსგავსად წარმოადგენს ქვეყანას, სადაც რელიგიური ტოლერანტობა და ყველა კულტურის თანაბარი პატივისცემაა. დღეს, საქართვლოს მნიშვენლოვანი როლი აქვს, საერთაშორისო არენაზე ამ ღირებულებათა გავრცელებაში. ასევე, მნიშვნელოვანი როლი აქვს აიმაღლოს ხმა ფუნდამენტალიზმის საფრთხის წინააღმდეგ“, - აღნიშნა რუვენ რივლინმა.

მისი განცხადებით, ფუნდამენტალიზმი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ შუა აღმოსავლეთს, არამედ მთელ მსოფლიოს.

რუვენ რივლინმა საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა იმ გულითადი წუხილისათვის, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ისრაელში გახშირებული ტერაქტების გამო გამოთქვა.

ისრაელის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველომ და ისრაელმა უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა, არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ ეკონომიკისა და კულტურის მიმართულებით.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ, ისრაელში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, ჰოლოკოსტის მუზეუმი დაათვალიერეს და იერუსალიმის მთაზე მდებარე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი - „იად ვაშემი“ ყვავილების გვირგვინით შეამკეს.

გიორგი მარგველაშვილმა და მაკა ჩიჩუამ, ისრაელში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, ჰოლოკოსტის მუზეუმი დაათვალიერეს და იერუსალიმის მთაზე მდებარე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი - "იად ვაშემი" ყვავილების გვირგვინით შეამკეს.

გიორგი მარგველაშვილი ისრაელში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, ქნესეთის თავმჯდომარეს იული ედელშტეინს და ოპოზიციის ლიდერს იცხაკ ჰერცოგს შეხვდა.

ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტისა და პირველი ლედის პატივსაცემად სახელმწიფო სადილი გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ისრაელში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა ქართველ ებრაელებთან გამართა.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ დელეგაციასთან ერთად ჯვრის მონასტერი, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და გეთსამანიის ბაღი მოინახულეს.

იცხაკ დავიდი

ტ ო კ ი ო

აწვიმდა ტოკიოს ქუჩებს, კუშტად მომდევდნენ დღენი
იდგა გამოცანად გოგო – იაპონური სარკე,
გამოიდარებს ალბათ, ღრუბლებს მოსწყინდათ გოგო
და კუნძულების მიღმა ღამეს აწვალებდა მთვარე.

მე გამიცინებს წამით, წარბებს მომაპყრობს, მზერა
დარჩება წუთხის ბოლად, მატარებლების ფერი _
იეო სიჩქარე შმაგი და საიდუმლო ვნება,
ის ბასანური ვნება ჰარიზელების თქეშში.

აწვიმს ტოკიოს ქუჩებს, ქუჩებს მივუვები მალვით
და ციმციმებენ შვებით ტკბილი ტუჩების ზოლში,
ქოლგა იშლება ისევ, ქოლგა მევლება ტანში –
და მეცხადება შინტო კვარასუნების ბროლში.

შენ გინახავდი ზაფხულს, შენ გინახავდი ზამთარს,
თან მიჰყვებოდნენ დედას, ამ მაისობის თავზე –
მწვანე ბიბინა ბალახს დღეს მაცუმუტო მართავს,
შოგონს მარხავდნენ კვნესით და მზეც ხუჭავდა თვალებს.

აქ სულს დავეძებ ურცხვად, სული მისხლტება ხელით,
სულს სულ სხვა კამი უნდა, სული მიჰყვება ზღაპარს –
აწვიმს ტოკიოს ბაღებს, ნისლი ჰირს იკრავს კვერთხით
და სამონასტრო წიგნებს ამიშრიალებს მამა.

იკვრება ცების რკალი, თვითმფრინავს მისდევს ხვნეშით,
დიდი აზრის სუნთქვა რჩება ნეპალის ველებს –
აქ მე შევკარი წრეში დიდი კონ-ფუ-ცზის მადლი,
და შთაგონების წყარო რომ ეტმასნებათ ქედებს.

და ზის ჰოეტი, გამდელს დაეზმანება ისევ,
ზის მარტობის ეშვებს ვერ ააცილა რიდი –
მას განა მეტი უნდა, სხეულში აუგს ეძებს,
თან განტევებულ ფიქრებს მიეკურთხება რისხვით.

აწვიმს და ისევ აწვიმს, ამ ხალხში ვეძებ შველას,
აქ მოკრძალებულ ღიმილს, ყვავილში ხედავ ჩართულს –
უპირსახოა ღამე, უპირსახოა ზეცაც –
წითელ ფოთოლნარში ვამჩნევ იავნანების ქალწულს.

ამ კუნძულებზე რა ხანია გაისმის ჰურა,
და ჰოკაიდოს შეაშფოთებს აინუს ბედი –
წუნარ ოკეანეს გადაევლო ურიცხვი სურო,
ყვავილებს მირთავს მორცხვენილი მოყვასი ჩემი.

განა შორსაააა?! აქ რუსეთი იცინის გაღმა,
სულ სხვა ენაა, შამანური ისმის გალობა –
შინტოს ქურუმნი მიართმევენ დიდებულ ალმასს
და ქურუხ ღამეს შეაწვები ჰირისამოსად.

აწვიმს ტოკიოს, სადგურისკენ რბიან ბორბლები
ბორბლებს აწამებთ ნაგიჟარი ქალაქის თვლემა –
მოვა ამაუად გამომიწვდის შესასვლელ ბილეთს
და აქ ტოკიოს ცისქვეშეთში სკრიაბინი მხვდება.

და დასავლეთი იწყებს ციებ-ცხელებით კანკალს,
ნიპონის მწველი ვნება ეპირველება წარსულს –
ჩარდაშს უსმენენ შვებით აქ სამორაის შვილნი,
ღამით ვუყნოს ვეძებ სამოციქულოდ მარხულს.

ხელს ვხვევ, იცინის გოგო, იაპონური კდემით,
წელი ერხევა ცვრემით, ღაწვები კრთინ ცვარში –
მეუდროობაა ირგვლივ, მატარებლების გრუხუნს
თვალს გააყოლებს გიჟი, მოწყალებული კრძალვით.

წყალი და ისევ წყალი, წვიმა დგაფუნობს ისევ,
მოკვდავს მოსწყინდა სრბოლა, დუმს ვიოლინო გულში,
გამოიდარებს , შემდეგ გვრიგვინს მოგართმევ გოგოვ –
გინზას დიდების ჰირმშოვ, არად დაგიდევ წუხილს.

და ჩავკირკიტებთ ენას, შენს ამ მშობლიურ ენას
ერთად ვაწამებთ ასოს, მარცხნივ და მარჯვნივ ხტიან,
ფეხი, ხელები, ხაზებს ეტმასნებიან ირგვლივ –
დიდი ღმერთების ძენი ეძალებიან მზიანს...

მეც ამ ნიშნების წყებას, გონების ძალით ვკრიბავ
და მარუზენში წიგნებს, ცნობიერებით ვამკობ –
მაბორიალებს ბედი, ცივი ქარები ჰქრიან
შენით ნაქარგი კალთით ამ ცივ ზამთარში მათბობ.

გარემოცულხარ თეთრი ბუშტით, გაწამებს რაღაც
იკებუკუროს მივუყვებით წვიმების თქეშში –
რჩება შინჯუკუ გამოცანად ჩვენს ჩვეულ დაღლას,
და გათანგული აქეთ ილტვის ნაცნობი ბერი.

ასეთი იეო შემოდგომის საღამო მწველი,
წვეთებს შხაპუნით მიმოსცრავდნენ მწუხრის ფიქრები,
კუნძულებს მიღმა ანგელოზნი კემსავდნენ ღამეს
და საიდუმლოდ მეშლებოდნენ ზამთრის იები.

ტოკიო, 4.10.1987

ისრაელის საელჩო გვატყობინებს:

პრემიერის განცხადება ტერორიზმის ახალ ტალღაზე

ისრაელის პრემიერ მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ 8 ოქტომბერს, საღამოს გამართულ პრეს კონფერენციაზე შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

„დღეს ისრაელის მოქალაქეებისთვის მორიგი ურთულესი დღე იყო. ჩვენ ტერორიზმის ახალი ტალღის წინაშე ვდგავართ. ზიზღით გაქეზებული ტერორისტები ჩვენს ხალხს ესხმიან თავს – ჩვილებს, ბავშვებს, კაცებს ქალებს, მშვიდობიან მოსახლეობას და სამხედრო მოსამსახურეებს. მთელი ერი გულით ვუთანაგრძნობთ დაღუპულთა ოჯახებს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მომსწრენი გავხდით ჯარისკაცების, პოლიციელებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გმირობისა იერუსალიმში, კირიათ გათში, ჰევრონში, ფეტაჰ თიკვაში, თელ ავივში და ახლა აფულაში. ისრაელები გმირულად, სრული მობილიზებითა და მიზანდასახულობით ცდილობენ ტერორისტების განეიტრალებას. ამას განუმეორებელი მხნეობა სჭირდება და ვამაყობთ, რომ სწორედ ისეთი ქვეყნის ნაწილი ვართ, სადაც ასეთი მოქალაქეები ცხოვრობენ.

მინდა მოგმართოთ, ისრაელის მოქალაქენო! ჩვენ ახლო აღმოსავლეთში ვცხოვრობთ, რომელიც რადიკალური ისლამის ალშია გახვეული და მისი ენა ჩვენც გვწვდება. მაგრამ ისრაელი ძლიერი ქვეყანაა და ისრაელელები ძლიერი ერია. ჩვენ ყველა ზომას ვიხმართ იმისათვის, რომ ტერორიზმი დავამარცხოთ და სიმშვიდე აღვადგინოთ ქვეყანაში“.

embassies.gov.il

ისრაელის საელჩომ რაჭას ორი ფოტოგამოფენა გადასცა

2 სექტემბერს ისრაელის საელჩომ საქართველოში რაჭის რეგიონს ორი ფოტოგამოფენა გადასცა. ერთ–ერთი მათგანი, “ისრაელის ბუნება და ხედები” ამბროლაურის კულტურის ცენტრს გადაეცა. იგი 30 ფოტოსგან შედგება და ისრაელის სხვადასხვა კუთხეს ასახავს. მეორე გამოფენას კი “ისრაელის სახეები” ჰქვია და იგი ონის სინაგოგის 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალაქის კულტურის ცენტრში გამოიფინება.

რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორთან, ბატონ პაპუნა მარგველიძესთან შეხვედრისას ისრაელის ელჩმა საქართველოში, ბატონმა იუვალ ფუქსმა ხაზი გაუსვა საქართველოს რეგიონებთან თანამშრომლობას, როგორც ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და პარტნიორობის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს. ელჩმა ფუქსმა გუბერნატორს უთხრა, რომ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის დარგებში რაჭის რეგიონთან თანამშრომლობის უდიდესი პოტენციალი არსებობს.

ბატონმა ფუქსმა გამოხატა დიდი სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ბოლო ვიზიტის შემდეგ ამბროლაურში ვენახის მორწყვის სტრატეგიებთან დაკავშირებით ისრაელის კომპანია “ისრაგრინისა” და „USAID“-ს ერთობლივი სემინარი ჩატარდა.

ელჩმა ფუქსმა დასძინა, რომ რაჭას ყოველწლიურად უამრავი ისრაელელი ტურისტი სტუმრობს, რისი მიზეზიც შთამბეჭდავი ბუნება და უაღრესად სტუმართმოყვარე მასპინძლობაა და იმედი გამოთქვა, რომ ონის სინაგოგის 120 წლის იუბილე კიდევ ერთი მიზეზი გახდება სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. სწორედ ამიტომ, მან ამბროლაურსა და ონს ფოტოგამოფენები გადასცა, რომლებიც ისრაელის ბუნების სილამაზეს ასახავს.

რაჭის რეგიონში ორდღიანი ვიზიტის განმავლობაში ისრაელის ელჩი საქართველოში ამბროლაურისა და ონის გამგებლებს და სხვა ოფიციალურ პირებსაც შეხვდა.

„მაშავის“ ტრენინგი აჭარაში

ორშაბათს, 12 ოქტომბერს, ქობულეთში დაიწყო “მაშავის” ტრენინგი სათბურში მარწყვისა და ტკბილი წიწაკის მოყვანის თემაზე. ტრენინგი აჭარის აგრო–სერვის ცენტრთან თანამშრომლობით ტარდება, რომელიც ისრაელში ცენტრის დირექტორის, ბატონი გოჩა ბერიძისა და ისრაელის ელჩის აჭარაში ვიზიტის გაგრძელებაა.

“მაშავის” ექსპერტები, ბატონი გილად მერეკი და ქალბატონი რიკი ოფენბახი კობულეთში მთელი კვირა დარჩნენ და ადგილობრივ ფერმერებსა და ექსპერტებს გამოცდილებას უზიარებენ. პროგრამის მიზანია, გააფართოვოს საქართველოს პოტენციალი სოფლის მეურნეობის, კერძოდ, ღია გრუნტსა თუ სათბურებში ბოსტნეულის მოყვანის სფეროში. წლეულს ეს “მაშავის” რიგით მეექვსე ტრენინგია საქართველოში და პირველი – აჭარაში.

პარალელურად, ისრაელის საელჩომ საქართველოში აგრო–სერვის ცენტრის წარმომადგენლები და ისრაელის კომპანიები დააკავშირა ერთმანეთს. ერთ–ერთი ასეთი კომპანიის მიერ ორგანიზებული სემინარი მეთევზეობაში უკვე ჩატარდა.

ისრაელის დაფინანსებული სადემონსტრაციო სათბური წყალტუბოში

13 ოქტომბერს წყალტუბოში საზეიმოდ გაიხსნება კომპანია “ნეტაფიმთან” თანამშრომლობის შედეგად ისრაელის საელჩოს მიერ დაფინანსებული სადემონსტრაციო სათბური.

500კვმ-იანი სათბური სადემონსტრაციოდ გადაეცა “შპს ჰერბია”-ს წყალტუბოს რაიონის ადგილობრივი ფერმერებისთვის ტრენინგების ჩასატარებლად.

ეს გრანტი სასათბურე გვირაბებისა და ირიგაციის სფეროში ისრაელის საელჩოსა და “ნეტაფიმის” ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იმერეთში და მიმდებარე ტერიტორია უმნიშვნელვანესია მწვანილის წარმოებაში. ამ რეგიონის კლიმატური პირობები, ზამთრის პერიოდშიც კი გათბობის გარეშე, მაღალი ხარისხის ქორფა მწვანილის წარმოების საშუალებას იძლევა, რაც პროდუქციის წარმოების ხარჯის 70%-ს დაზოგავს. მწვანილის მაღალი ხარისხი და წარმოების დაბალი ხარჯები ზრდის ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საქართველოსა და რეგიონულ ბაზარზე.

პროექტის მიზანია, თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის, გამოცდილების გაზიარებისა და ისრაელიდან ექსპერტიზის გზით რეგიონში აგრობიზნესის განვითარება და საქართველოში სოფლის მეურნეობის დონის ამაღლება.

“შპს ჰერბია” და კომპანია ნეტაფიმი მომავლშიც ითანამშრომლებენ ადგილობრივი ფერმერების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

„შიმონ პერსისი სიტყვები, რომელმაც სამყარო შეძრა“

ასე უწოდეს 92 წლის პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9-ე პრეზიდენტის შიმონ პერესის გამოსვლას კიევში 13 სექტემბერს

უკრაინის მედიით გავრცელებულ შიმონ პერესის გამოსვლის შინაარსს **“თაიმერი“** საკუთარ მკითხველს სთავაზობს დარწმუნებული ვართ ქართველ მკითხველსაც შესძრავს შიმონ პერესის სიტყვების შინაარსი

“ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც ჩვენ გვერგო, არ იყო საოცნებო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა ახლო აღმოსავლეთის ერთი მეათასედი ნაწილი. ეს მიწა ჩვენ კარგად არ გვეპყრობოდა იქ იყო ჭაობები, კოლოები, სამხრეთში უდაბნო და ქვები არჩევანი კოლოებსა და ქვებს შორის იყო. იქ ორი ტბა იყო – ერთი მკვდარი და მეორე მომაკვდავი. იყო განთქმული მდინარე, თუმცა, მასში წყალი არ იყო წყალი სრულებით არ იყო. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა – არც ოქრო და არც — ნავთობი მაშინ ასეთი გამოთქმა იყო **“ახლო აღმოსავლეთში არსებობს ქვეყნების ორი ტიპი: ნავთობის ქვეყნები და წმინდა ქვეყნები“** ჩვენი ქვეყანა კი – აბსოლიტურად წმინდა იყო რამეთუ არაფერი არ ჰქონდა.

ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით. **არ გვყავდა არც რელიგიური ძმები, არც ერთენოვანი დები და არც ისტორიული მეზობლები.** ეს ყველაფერი ხდებოდა ჰოლოკოსტის შემდგომ. ჩვენ იქ მივედით და არ ვიცოდით რა გვექნა ნამდვილად არ ვიცოდით.

და ჩვენ მოვიფიქრეთ: **ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე – ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს.**

ჩვენ გავხდით სწავლულები. **ყოველმა ფერმერმა და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ განევითარებინა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე** და ჩვენ განვავითარეთ ის. ეს იყო პირველი სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელიც ჰაი-ტეკზე (მაღალ ტექნოლოგიაზე. რედ.) დაფუძნდა. მე თვითონ მაშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ვცდილობდით ჩაგვეტარებინა ირიგაცია ცხელი წყლით ვრწყავდით ხეებს და გვეგონა რომ ისინი ასე უკეთ გაიზრდებოდნენ. ჩვენდა გასაოცრად, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობა დაფუძნებული არამხოლოდ ნიადაგზე, არამედ ჰაი-ტეკზე დაფუძნებულიც მუშაობს. დღეს ჩვენ საკმარისი წყალი გვაქვს წყალს ჩვეულებრივად პოულობენ და არა მოიპოვებენ, ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ და წინ წავედით. ჩვენ წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ. ვეძებდით ბოსტნეულს, რომლებიც ცოტა წყალს სვამენ და დავიწყეთ სელექცია. აი, თქვენ ნამდვილი საიდუმლო: **მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც თქვენ აღმოაჩინეთ არამედ ის, რასაც თქვენ აწარმოებთ.**

ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა. ჩვენ არასდროს არ გვიომია. სულ 450

(დასასრული მე-8 გვერდზე)

როგორც იქნა, გოლდა მეირის მემკვიდრეც გამოჩნდა

ციპი ხოტოველის თაობაზე

ვინ არ აძაგებდა ბინიამინ ნეთანიაჰუსა დამ ის მიერ შექმნილ მთავრობას, ისრაელელთა თავებსა და გულებში ვინ არ თესავდა პანიკას, მაგრამ ნეთანიაჰუმ იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ციპი ხოტოველს ნიშნავდა. ამ ახალგაზრდა ქალს არა აქვს დიპლომატიური გამოცდილება, მაგრამ ერთობ პატიოსანია და აქვს რწმენა თავისი სიმართლისა და უწინარესად რწმენა იმისა, რომ ერეც ისრაელი—ისრაელის მიწა ეკუთვნის ებრაელ ხალხს.

და ამის თაობაზე მთელი ქვეყნიერების გასაგონად განაცხადა.

თუმცა, მან ამ საკითხზე ისაუბრა არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან,მაგრამ მისი სიტყვა ყველას მისწვდა.

ათეულობით წლების განმავლობაში ისრაელელი დიპლომატები მისდევდნენ ერთ სენტენციას: „იყავი ბრძენი, სიმართლე კი დაიცდის“ აქედან გამომდინარე,ისრაელმა გაიზიარა კისინჯერის რჩევა და ქიფურის დღის ომში გამარჯვებული გაიძახოდა ამ ომში დავმარცხდითო რა არის ამით არაბებს აღარ გავაღიზიანებთო. ამ სიბრძნიდან გამომდინარე, ისრაელი თანხმდებოდა ფორმულას „ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ“უთმობდა ტერორისტებს და თავის ყოველ ნაბიჯზე ბოდიშს იხდიდა. ციპი ხოტოველმა კი განაცხადა: „მაშინ, როცა ისრაელის სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ძალიან მნიშვნელოვანია იყო მართალი“ეს განცხადება მან გააკეთა ისრაელის სახელმწიფოს 106 ელჩთან შეხვედრაზე.

— საერთაშორისო საზოგადოებრიობა დაკავეებულია სამართლიანობისა და მორალის ძიებით. ჩვენთვის კი აუცილებელია მივუბრუნდეთ სიმართლეს—ამ მიწაზე ჩვენი არსებობის სიმართლეს—განაცხადა ციპი ხოტოველმა.მინისტრის მოადგილემ მოიყვანა დასახლებათა მოძრაობის ლიდერის ური ელიცურის სიტყვები, რომელიც მან 40 წლის წინ თქვა: „არაბთა განცხადებაზე „დაგვიბრუნეთ ჩვენი მიწები“ ისრაელი პასუხობდა: „ჩვენ გვაქვს სტრატეგიული ინტერესები და პრობლემები უშიშროების საკითხებში, ამიტომ მიწებს ვერ დავაბრუნებთ“.

ეს მძარცველის არგუმენტია.

მაგალითად, თუ ადამიანს ეუბნებიან „გაიხადე პალტო“ და ის კაცი პასუხობს „პალტოს ვერ გავიხდი იმიტომ რომ მცივა“კონტრარგუმენტი იქნება უბრალო და ლოგიკური: „დავუშვათ შენ გცივა, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია, თუ ვის ეკუთვნის პალტო, თუ შენი არ არის, უნდა გაიხადო!

აი, ამ შემთხვევაში მთავარია დაიცვა შენი სიმართლე და განაცხადო: **„პალტოს იმიტომ კი არ გავიხდი, რომ მცივა, არამედ ეს პალტო მეკუთვნის მე, მხოლოდ ჩემია“**

საერთაშორისო საზოგადოებრიობას კარგად ესმის ისრაელის სტრატეგიული და თავდაცვითი ინტერესები,მაგრამ ამავე დროს მტკიცედ მისდევს სამართლიანობას.ე.ი. „თუ პალტო შენი არ არის, უნდა გაიხადო!“

ამასთან ერთად ციპი ხოტოველმა გაიხსენა ეჰუდ ბარაკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის შლომო ბენ ამის სიტყვები, რომელმაც 2000 წელს კემპ დევიდში პალესტინელებთან მოლაპარაკებებისას შენიშნა: „მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ არაბებს კონფლიქტის მოგვარება კი არა, ისრაელის საბრალდებო სკამზე დასმა სურთ, რომ ჩვენ გამუდმებით ვიმართლებდეთ თავს. მათ თავიანთი სახელმწიფო კი არ სურთ, არამედ ის უნდათ, ჩვენ გაგვაძევონ აქედან.“ მინისტრ ბენ ამის კი მემარჯვენეობას ვერავინ დასწამებდა“.

„თუ ებრაელები დარწმუნებული იქნებიან თავიანთ სიმართლეში—იმაში,რომ ეს მიწა მათია, მხოლოდ მათი, ისინი მთელ სამყაროსთან მონახავენ საერთო ენას.“ ციპი ხოტოველმა მე-20 საუკუნის საფრანგეთის ებრაელობის ლიდერის რაბი იეჰუდა ლეონ აშქანაზის ეს სიტყვები გაახსენა ელჩებს.

მნიშვნელოვანია ისიც,რომ ბოლო წლებში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო მეორეხარისხოვან ფუნქციას ასრულებდა. მთავარ მიმართულებებზე მუშაობა კი პრემიერ-მინისტრის კანცელარიას, ან იუსტიციის სამინისტროს ეკისრებოდა.ციპი ხოტოველმა ელჩებს აღუქვა,რომ ამ მდგომარეობას გამოასწორებს და საგარეო საქმეთა სამინისტროს თავის სტატუსს აღუდგენს. ძნელია ციპი ხოტოველის ეს განცხადება სრულყოფილად შეაფასო დღეს,როცა აშშ-მ და ევროპამ გადაწყვიტეს ისრაელი სამაგალითოდ დასაჯონ ხმის„არასწორი“ მიცემისათვის. საფრანგეთი და ახალი ზელანდია, ალბათ აშშ-ს უსიტყვო თანხმობით, აპირებენ გაეროს უშიშროების საბჭოში მხარი დაუჭირონ რეზოლუციას, რომელიც ისრაელს პალესტინის ანკლავის ტერორისტულ ორგანიზაციებთან სამშვიდობო მოლაპარაკებას და ამ მოლაპარაკებათა 18 თვეში დამთავრებას ავალდებულებს.

ასე რომ მილიონობით დევნილი, ასეულ ათასობით მოკლული ისლამის ყოველმხრივი შემოტევა არაფრად მიიჩნევა, მათთვის ყველაფერი უმნიშვნელოა ებრაელთა სახელმწიფოს განადგურების ირრაციონალურ მისწრაფებასთან შედარებით.

ესმის კი, ბინიამინ ნეთანიაჰუს, არა მხოლოდ უპერსპექტივობა ფორმულისა, ორი სახელმწიფო ორი ერისათვის“, არამედ სასიკვდილო საფრთხეც, თუ ეს გეგმა განხორციელდება?რასაკვირველია, ესმის, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ გააცხადებს,ამიტომ იძულებულია ლავირებას ეწეოდეს და რაღაცას ლაპარაკობდეს „ორ სახელმწიფოზე ორი ერისათვის“, მაგრამ არა ახლა, მომავალშიო, ახლა შესაფერი მომენტი არ არისო. ცხადია, მისი არ სჯერათ, მატყუარას ეძახიან და აი, მოდის ეს, დიპლომატიაში ჯერაც გაუზრდელი ბავშვი“ციპი ხოტოველი და კითხულობს: „რატომ არ უნდა ვუთხრათ მატ სიმართლე—რატომ არ უნდა ვუთხრათ, რომ ისრაელის მიწა ეკუთვნის მხოლოდ ებრაელ ხალხს?“

მართლაცდა , კითხვაზე ბოლოს-დაბოლოს ებრაელები როდის გაეცლებიან იუდეას, რატომ არ უნდა ვუთხრათ:

არასოდეს!

ჩვენ არასოდეს არ წავალთ იუდეის პირველი დედაქალაქ—ხევრონიდან, იმ ქალაქიდან, რომელშიც განისვენებენ ებრაელი ხალხის მამამთავრები, ჩვენ არასოდეს არ წავალთ ბეთლემიდან — ქალაქიდან, რომელშიც დაიბადა მეფე დავითი და, განისვენებს დედა ჩვენი რახელი. ჩვენ არასოდეს არ წავალთ იერუსალიმიდან და არც არავის გავუყოფთ მას,რადგან არ ძალგვიძს მკერდიდან გული ამოვიგლიჯოთ და ორ ნაწილად გავყოთ იგი.

და თქვენი გასანაწილებელი არ არი მიწა, რომელიც ღმერთს ეკუთვნის.

თქვენ ორი ათასი წალი ცდილობდით ჩვენს განადგურებას, ცდილობდით ფერფლად გექციეთ და თქვენი ბრალი არ არის,ის რომ თქვენ ეს ვერ მოახერხეთ.ჩვენ თავი გადავირჩინეთ, ჩვენ დავბრუნდით ჩვენს მიწაზე და ავაღორძინეთ იგი და ჩვენ აქედან აღარსად აღარ წავალთ. ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომლის წინაშეც ყოველგვარი დოკუმენტი ფერმრთალდება.

საკმარისია დახედოთ ერაყსა და სირიაში სამხედრო მოქმედებათა გეგმას,რომ უმალ მიხვდეთ:რამადის დაცემისთანავე ისლამური სახელმწიფოს მოჯახედების წინაშე იხსნება გზა დამასკოს, ბაღდადისა და ამანისაკენ. ელ რიადისაკენაც კი. ახლო აღმოსავლეთი ასეთ საფასურს იხდის ბარაკ ობამას, კლინტონისა და კერის პოლიტიკის, მათი „თავშეკავებულობის“, „ძმებ მუსლიმებთან“ ლაციცისა და არაბული გაზაფხულის გამო.

თუ ობამას იმედი ჰქონდა, რომ ირანის ატომური შეიარაღების თაობაშე ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ირანი ომს დაუწყებდა სუნიტ მოჯახედებს,ძალიან შეცდა. ირანი განზე გადგა და არაბულ „გარჩევებში“ არ ჩაერია.

ამიტომაც მართალია ციპი ხოტოველი: როცა ისრაელის სახელმწიფოებრიობა საშიშროების ქვეშ ექცევა, ცოტაა იყო ბრძენი. ძლიერ უნდა იყო დარწმუნებული შენს სიმართლეში იმიტომ რომ ახლო აღმოსავლეთის გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ ძლიერი ისრაელია.

newrezume.org

ისწავლე, სწავლის მძებნელო!

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ინოვაციური მეწარმეობის სატრენინგო პროგრამისთვის მონაწილეთა შერჩევას იწყებს

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო იწყებს მონაწილეთა შერჩევას ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით ინოვაციური მეწარმეობის სატრენინგო პროგრამისთვის, რომელიც 1-13 ნოემბერს, ისრაელის ქალაქ თელ-ავივში გაიმართება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი ქაშიბაძემ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ბრიფინგი გამართა.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, ისრაელი ინოვაციური სტარტ-აპების კუთხით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში და მსგავსი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურად მოაზროვნე და მეწარმული იდეების მქონე ახალგაზრდების განვითარებას, მათთვის მაღალი დონის, საერთაშორისო, პრაქტიკული ცოდნის გადაცემას და გლობალური მნიშვნელობის კომპანიების ჩამოყალიბებაში დახმარებას.

პროგრამა განკუთვნილია ახალგაზრდა, ენერგიულ, მეწარმული სულისკვეთების მქონე მონაწილეებისთის, რომლებიც მზად არიან, გაიზიარონ ისრაელის გამოცდილება ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური ბიზნესის მიმართულებით, აიმაღლონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა და მიიღონ გამოცდილება, თუ როგორ გახდნენ უფრო წარმატებულები და დანერგონ შესწავლილი მეთოდოლოგიები საკუთარ საქმიანობაში. პროგრამა ებრაელი მეცენატების მიერ ფინანსდება და მასში მონაწილეობა უფასოა.

პროგრამას ისრაელის ინოვაციების ეკოსისტემის მთავარი არქიტექტორები, წამყვანი IT კომპანიების თანამშრომლები, ინვესტორები და გამოცდილი მენტორები გაუძღვებიან. პროგრამის ფარგლებში მონაწილეები Google-ისა და Microsoft -ის ბიზნეს აქსელერატორებს ეწვევიან და ისრაელის სტარტაპ ეკოსისტემის სტრუქტურას შეისწავლიან.

მონაწილეები სააგენტოსა და თელ-ავივის უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის მიერ შეირჩევიან. მონაწილეთა შერჩევა პირველ ეტაპზე აპლიკაციის, ხოლო შემდეგ გასაუბრების საფუძველზე მოხდება. პროგრამაში მონაწილეობისათვის საჭიროა აპლიკანტს გააჩნდეს საკუთარი სტარტაპი, ან ინოვაციური ბიზნესის ხელშემწყობი ორგანიზაცია.

IPN.GE

ნ ო ა ხ ი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

ავიმელეხ როზენბლატი

რავ ნოსონ ვაისის სტატიის მიხედვით

კვირის საკითხავი თავი "ნოახ" მოგვითხრობს დიდი წარღვნის ისტორიას და იმ მოვლენების შესახებ, რომელთაც ბაბილონის გოდოლის მშენებლობამდე მიიყვანა ხალხი (ებრაულად "ბაველ" – ბაბილონი წარმოსდგება ბუძიდან "ბალალ" – აღრია). თორაში ვკითხულობთ ფრაზას, რომელიც სავსებით პოზიტიურად გვეჩვენება: "და იყო მთელს დედამიწაზეერთი საუბარი და ერთი და იგივე სიტყვები" (ბერეშით, თავი 11, ფასუქი 1). აქედან თვალნათლივ გამომდინარეობს ჭეშმარიტად უტოპიური საყოველთაო მშვიდობა მთელს დედამიწაზე. და მართლაც, იმ პერიოდში ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთთან, მაგრამ ომი გამოუცხადეს...ზეცას. როგორც რაში გვიხსნის ამ "მშვიდობისმოყვარეობას", კაცობრიობა საერთო იდეამ შეაკავშირა – "გამ-ნმა არ უნდა დაიტოვოს თავისთვის ზეცა: მოდით ავიდეთ ზეცაში და დავიწყოთ ომი მასთან (ბერეშით რაბა, თავი 38, ფასუქი 6).

ამ უდავოდ უცნაურმა იდეამ მთელი თაობის ადამიანთა გონება დაიპყრო... მათი გამ-ნთან ბრძოლის შედეგად კაცობრიობა 70 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და განსხვავებული კულტურის მქონე ხალხად დაყო. ღოგორც ნათქვამია: "და გაფანტა ისინი გამ-ნმა მთელს დედამიწაზე, და მათ შეწყვიტეს ქალაქის მშენებლობა. ამიტომაც დაერქვა "ბაველ", "რადგანაც იქ აღრია გამ-ნმა დედამიწის ენა და იქიდან გაფანტა ისინი მთელს დედამიწაზე" (ბერეშით, თავი 11, ფასუქი 8-9).

როგორ შიძლება წარმოვიდგინოთ, როგორ გავიგოთ უცნაური იდეა – ომი გამ-ნის წინააღმდეგ? ერთი საქმეა მის არსებობას სკეპტიკურად უყურებდნენ. მაგრამ სჯეროდეთ, რომ ის არსებობს და მასთან ბრძოლა გადაწყვიტონ... შეუძლია კი საღი აზრის მქონე ადამიანს ასეთი რამის მოფიქრება?..

"ადამიანები აჯანყდნენ იმ ფაქტის საწინააღმდეგოდ, რომ გამ-ნი ზეცის ერთად-ერთი ბატონ-პატრონია" – გვიხსნის რაში. მაგრამ, რად უნდა ადამიანს ზეცა?

სრულიად აშკარაა, რომ არავის ჰქონდა ზეცაში ცხოვრების სურვილი. ბოლოს და ბოლოს საცხოვრებელი ადგილი დედამიწაა, და, სწორედ ის უნდა იყოს ადამიანის ყურადღების ცენტრში. რატომ გადაწყვიტა ომის დაწყება? იმისათვის, რომ ზეცის გაკონტროლება შეძლებოდა, ერთი წუთითაც კი თუ გაფიქრებთ, რომ მას ამისათვის საკმარისი ძალები გააჩნია?

კითხვა თავის თავში შეიცავს პასუხს და იმის გაგებისათვის საჭირო გასაღებს, თუ რატომ გაიფანტნენ ადამიანები მთელს დედამიწაზე. ადამიანი მიილტვოდა ზეცის კონტროლისაკენ იმიტომ, რომ სწორედ ზეციდან ღებულობს დედამიწაზე არსებობისათვის საჭირო ენერგიეს. გამ-ნის რწმენის არსი იმის ცოდნაშია, რომ გამ-ნია დედამიწაზე სიცოცხლის წყარო, იმ ენერგიის წყარო, რომელიც ხელს უწყობს ყველა ცოცხალს არსებობაში. სამყარო არ შექმნილა მზა მასალით, ის შემოქმედის ენერგიიდან იქნა წარმოქმნილი. დედამიწაზე ყველა "ბუნებრივი" პროცესი მიმდინარეობს "ამ ენერგიის მუდმივი "ინექციის" ხარჯზე. სწორედ ეს ენერგიის წყარო იწოდება "ზეცად" წიგნის ბერეშით დასაწყისში, სადაც ნათქვამია: "დასაწყისში შექმნა გამ-ნმა ზეცა და მიწა" ("ბერეშით", თავი 1, ფასუქი 1). შხვა სიტყვებით რომ ვთქვათეს არის გარკვეული სუბსტანცია, რომელიც იძლევა სიცოცხლეს. "დედამიწა" ამ სქემაში არის ის ტერმინი, რომლის მიღმაც დგას კრებითი გამოსახულება(იმიჯი) "მიმღებისა"... თუგ ამ-ნი აკონტროლებს ზეცას, მაშინ ის ენერგიაც, რომელსაც ის დედამიწას უგზავნის მისსივე სურვილით მოდის. თუ ადამიანი დაიპყრობს ზეცას, მაშინ ის გააკონტროლებს რამდენ ენერგიას და როდის მიიღებს დედამიწა. ასეთია იმ ადამიანთა ლოგიკის ძირითადი მონახაზი, ვინც გამ-ნს დაუპირისპირდა. იმის გამო, რომ ადამიანი არ ბატონობს ზებუნებრივ ძალებზე ანუ არ შეუძლია წყაროდან ენერგიის განაწილების მართვა, - ფიქრობდნენ ისინი – ადამიანის მიერ ზეცის კონტროლი იმაში გამოიხატებოდა, რომ სამყარო მთლიანად ბუნებრივ კანონებს დაექვემდებარებოდა. და, თუ ენერგია ზევიდან დედამიწაზე ბუნებრივ კანონებს დაქვემდებარებული წესების მიხედვით მოხვდება, ადამიანს სეეძლება მთლიანად გააკონტროლოს დედამიწის მკვებავი ენერგია.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია იმ პირობით, რომ ადამიანს შეეძლება იმ ბუნებრივი პროცესების გაკონტროლება, რომლებიც ბუნებრივი კანონებით ვითარდებიან. ადამიანებს შეეძლებათ მათი შესწავლა, გაგება და სამყაროს დამორჩილება. თუ ადამიანი ჩაწვდება იმ ბუნებრივი კანონების ყველა საიდუმლოს, რომელთა საშუალებითაც არსებობს და ვითარდება სამყარო (რაც, სინამდვილეში, ადამიანისათვის მიცემული ინტელექტის მეშვეობით მხოლოდ დროის ამბავია), ის შეძლებს იპოვოს ყველა იმ პრობლემის გადაჭრის გზა, რასაც კაცობრიობა აწყდება. მაგრამ, სანამ ზეცა გამ-ნის მიერ კონტროლდება, ადამიანს არ შეუძლია გახდეს თავისი ბედის ბატონ-პატრონი.

ახლა ჩვენთვის გასაგებია, თუ რა სახის ომი წამოიწყეს ადამიანებმა. მაგრამ, მაინც გაუგებარია, რისი იმედი ჰქონდათ, როგორ გაიმარჯვებდნენ ამ ომში? ბოლოს და ბოლოს ზეციური ენერგია გამ-ნს ეკუთვნის...

ამ კითხვის პასუხი უცნაურად და საკვირველად მოგეჩვენებათ. ამ უჩვეულო ომისათვის ადამიანმა "არატრადიციული" იარაღიც აირჩია – სოციალური, საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარება მთელს დედამიწაზე.იმისათვის, რომ გავიაზროთ ეს უნდა გავიხსენოთ სრულიად "ბანალური" ჭეშმარიტება: ისტორია მეორდება – შთამომავლები იძენენ და იყენებენ წინაპართა გამოცდილებას. ამ შემთხვევაში "გაფანტულობის თაობამ" გაითვალისწინა წარღვნის თაობის გამოცდილება. ისინიც ხომ გამ-ნის წინააღმდეგ აჯანყდნენ და მას ეომებოდნენ. მათ შემთხვევაში ყველაფერი წარღვნით დასრულდა. "გაფანტულობის თაობამ" გააანალიზა წინაპართა შეცდომები და დაასკვნა, რომ კაცობრიობის განადგურების მიზეზი ადამიანის მიერ ადამიანზე ზეწოლაა.

ამის შესახებ თალმუდში ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ დედამიწა კერპთთაყვანისმცემლობამ, კორუფციამ და ამორალურობამ მოიცვა, გამ-ნმა წარღვნის მოვლენა გადაწყვიტა მხოლოდ საზოგადოების წაბილწვის გამო, ძარცვისა და ადამიანის მიერ ადამიანზე ზეწოლის გამო(ტრაქტატი "სანჰედრინი", გვერდი 108).

გამ-ნი უსაზღვროდ მომთმენია და საკმაოდ დიდხანს შეუძლია შეურიგდეს ადამიანის ცოდვებს. მაგრამ მისი რისხვა მაშინვე ვლინდება, როგორც კი ესმის დაჩაგრული ადამიანის ხმა და მისი ჩივილი. აი მაშინ, ის იწყებს ადამიანების გასამართლებას.

თორაში ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პირდაპირ და ნათლადაა ხაზგასმული: "ნურც ქვრივს, ნურც ობოლს ნუ შეავიწროვებთ. თუ რომელიმე მათგანის შევიწროვებას დაიწყებთ და ისინი შემღაღადებენ (მომმართავენ რა) მე, და გავიგებ მათ გოდებას, აენთება ჩემი რისხვა, და დაგხოცავთ თქვენ ხმლით, და იქნებიან თქვენი ცოლები ქვრივები, და თქვენი შვილები – ობლები" (შემოთ, თავი 22, ფასუქი 21-23).

როდესაც გამ-ნი სასამართლოს აწყობს, ადამიანი ისჯება ყველა ცუდი ქმედებისათვის. მაგრამ იქამდე, მანამ არ ისმის შევიწროვებულთა გოდება, ვერ აიძულებენ მას გამოიყენოს სამართლანობის ატრიბუტი, ადამიანები, პრინციპში, თავისუფალნი არიან თავიანთ ქმედებებში. რადგანაც თავისი ინიციატივით გამ-ნი არ ჩქარობს ადამიანების გასამართლებას. ამ პრინციპის გამოვლინების აშკარა მაგალითია სოდომისა და გომორის, იმ ორი ქალაქის ისტორია, რომელნიც საუკუნეების მანძილზე იქცნენ ბოროტებისა და გარყვნილების განსახიერებად. "სოდომის ხალხი ბოროტნი იყვნენ და ღიად სცოდავდნენ გამ-ნის წინაშე" (ბერეშით, თავი 13, ფასქი 13) – გვეუბნება თორა. იმის მიუხედავად, რომ სოდომის მცხოვრებთა სისასტიკემ და გარყვნილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, გამ-ნი არ ასამართლებდა მათ. იქამდე, მანამ არ მოისმინა იმ ქალიშვილის გოდება, რომელსაც სოდომელები გაუსწორდნენ ღატაკისათვის საკვების მინოდების გამო. ზეპირი თორა (მიდრაშ "პირკეი დე რაბი ელაზარ", თავი 25) მოგვითხრობს, რომ ამ ქალიშვილს პლიტასი ერქვა და ის ლოტის შვილი იყო. სოდომელებმა გააშიშვლეს ის, წაუსვეს თაფლი და სახურავზე მცხუნვარე მზის ქვეშ დააგდეს, რათა მას ფუტკარი დასეოდა. ქალიშვილის კვნესის პასუხად, აფიქსირებს თორა, გამ-ნმა თქვა: "ჩავალ და შევხედავ: თუ ის, რაც მოვისმინე ამ კვნესაში სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ – მოკვდებიან (ისინი)!" (ბერეშით, თავი 18, ფასუქი 21). იგივე სიტუაცია იყო ნარღვნის პერიოდშიც. სწორედ ერთმანეთის მიმართ სისასტიკის გამოვლინების გამო ადამიანებმა აიძულეს გამ-ნი გაენადგურებინა ყველაფერი ცოცხალი დედამიწაზე. "გაფანტულობის თაობის" ადამიანები საკმაოდ გონიერნი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ წინა თაობის მაგალითზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიეღოთ. მათ შეძლეს აეშენებინათ ერთიანი და ჰარმონიული საზოგადოება (ამის შესახებ მოგვითხრობს მიდრაში "ბერეშით რაბა", თავი 38, ფასუქი 6). ადამიანებმა გაიგეს, რომ თუ ერთმანეთს არ შეავიწროვებენ, შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რაც აზრად მოუვათ და გამ-ნი არ განარისხონ. თუ არა არიან შევიწროვებულნი, მაშინ "ღაღადისიც"(კვნესაც) არავისგან ესმის გამ-ნს.

ამ მხრივ მათი გათვლა აბსულუტურად სწორი იყო.ზეპირი თორა ადარებს რა წარღვნის თაობას გაფანტვის თაობას, ადასტურებს, რომ ბაბილონის გოდოლის თაობა გამ-ნის წინაშე უფრო ცოდვილი იყო ვიდრე წარღვნის წინანდელი თაობა. ამის მიუხედავად, შემოქმედმა მათ ნაკლებად მკაცრი განაჩენი გამოუტანა: არ გაანადგურა ისინი, მხოლოდ და მხოლოდ - გაფანტა. ეს კი იმიტომ, რომ გამ-ნის სურვილია ადამიანები ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, უსამართლობა მისთვის აბსოლუტურად უცხო გამოვლინებაა. მას არ შეუძლია მკაცრად დასაჯოს ისინი, ვინც ერთმანეთს კარგად ექცევიან. ეს არის "გამ-ნის ადამიანად" ქცევის გზა.

ისრაელის ამბები

ისრაელის მეგობარი ქრისტიანები იერუსლიმში

ტრადიციულად სუქოთის დღესასწაულის დღეებში ისრაელში ტარდება ამ ქვეყნის მეგობარი ქვეყნების ფესტივალი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იერუსალიმში შეიკრიბნენ ისრაელის მეგობარი ქრისტიანები,რათა თანადგომა გამოუცხადონ ებრაელ ხალხს და ისრაელის სახელმწიფოს. წელს მსოფლიოს საქრისტიანოს საელჩომ ისრაელში ხუთი ათას ქრისტიანს მოუყარა თავი. ეს ფესტივალი 36-ე გახლავთ. წელს ისრაელში 85 ქვეყნის ქრისტიანები ჩამოვიდნენ, ამათ შორის სხვადასხვა ქვეყნის 50 მინისტრი, პარლამენტის წევრი,საზოგადო მოღვაწე, რელიგიური ლიდერი და პასტორია.

ფესტივალის პროგრამა ერთობ გადატვირთული იყო: შეხვედრები ქნესეთის წევრებთან, სემინარები, ,,მრგვალი მაგიდები".იერუსალიმის ცენტრალურ ქუჩებში გაიმართა ისრაელის მხარდასაჭერი მარში.

29 სექტემბერს იერუსალიმის ,,არენაზე" გაიმართა გრანდიოზული თავყრილობა—სადღესასწაულო საღამო. შეკრებილთ მიესალმა ისრაელის პრეზიდენტი რეუვენ რივლინი. მან ფესტივალის მონაწილეებს გულწრფელი მადლობა მოახსენა ებრაელთა სახელმწიფოსადმი მხარდაჭერის გამო. საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს ქრისტიანმა სასულიერო ლიდერებმა, პასტორებმა. ყველა გამომსვლელი აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ მხარს უჭერენ ისრაელის სახელმწიფოს.

ტერორი და ხალხი

მინისტრის ბრძანება

ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა საემიგრაციო სამსახურს მისცა მითითება, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმის იმ ორ მცხოვრებს, რომლებიც თავს დაესხნენ სამხედრო პირს, რის შემდეგაც დაიწყო არეულობანი, ჩამოერთვათ ისრაელის მოქალაქეობა.ისრაელის კანონი შინაგან საქმეთა მინისტრს აძლევს უფლებას სასამართლოს დადგენილების გარეშეც ჩამოართვას მოქალაქეობა, ადამიანი, რომელიც შემჩნეულია ისრაელისადმი მტრულ საქმიანობაში.

სილვან შალომმა I net-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველა იმ პირს,

რომელიც ჩაიდენს ტერორისტულ აქტ, ან გაერევა ტერორისტული აქტის მომზადებაში, ისრაელის მოქალაქეობა ჩამოერთმევა. ეს კი ნიშნავს: მისადმი დამოკიდებულება იქნება ისეთი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრებისადმი.

ყოველი ტერორისტი უნდა მოიკლას!

ქალაქ ცფათის მთავარმა რაბინმა და ისრაელის რაბინთა მთავარი კომიტეტის წევრმა შმუელ ელიაჰუმ 9 ოქტომბერს გამოსცა დადგენილება: ტერორისტები, რომლებიც ქუჩაში გამვლელებს ესხმიან თავს, ადგილზევე უნდა მოიკლან, ხოლო პოლიციელმა, რომელიც ამას ხელს შეუშლის,თავის საქციელზე პასუხი უნდა აგოს. ,,ტერორისტებს არ უნდა მივცეთ ამის სიამოვნება,რომ მათი ტერაქტები ავიტანოთ.თუ მათ დავაპატიმრებთ, არსებობს იმის შანსი, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისევ კაცთაკვლას მიჰყოფენ ხელს. არ არის სწორი,როცა ისინი ამნისტიით გამოდიან ციხიდან".

ათასი კაცი ვიყავით და არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. გაერომ გადაწყვიტა შეექმნა სახელმწიფო ისრაელი, მაგრამ ფაქტიურად ომი მიდიოდა. რა უნდა გვექნა? ორი რამ:

პირველი – **ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არ გვაქვს, ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ, მორჩა.**

მეორე – **იქიდან გამომდინარე, რომ იარაღი არ გვქონდა, მისი წარმოება დავიწყეთ.** ჩვენ დავიწყეთ არმიის სრულყოფა და მოგვიწია განგვევითარებინა IT-სექტორი, რომელიც არმიაზე მუშაობდა, რამეთუ **ვიყავით მარტონი და მტრულ გარემოცვაში**.

რატომ გიამბობთ ყველაფერ ამას? დღემდე ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს ვეუბნები: **მეგობრებო, თქვენ გაცილებით მეტი გაქვთ, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ნუ იქნებით ზარმაცები! თქვენ გაქვთ გაცილებით მეტი, ვიდრე მიწას შეუძლია შემოგთავაზოთ. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი რამეები, რაც თქვენ აქამდე არ მოგცემიათ. ეს გაკვეთილია ყველასათვის.**

უკრაინა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა სოფლის მეურნეობის სფეროში თქვენ ძალიან ბევრ პროდუქტს აწვდით მსოფლიოს და სოფლის მეურნეობაზე უარი არ უნდა თქვათ. თქვენ შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ ხალხის რესურსები და ტალანტი გააერთიანოთ და ისე მოახდინოთ მოდერნიზირება.

პოტენციალი ადამიანებს ძალიან დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან.თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა იმუშაოთ, ციდან არაფერი არ ცვივა. ჩვენ ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით რა არის ამაში ცუდი?! არ ვიცი ადამიანები შვებულებაში რატომ გადიან — ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. მე 90-ს გადავცილდი და არასდროს ვყოფილვარ შვებულებაში. მეუბნებიან "შენ რა, არანორმალური ხარ? როგორლა ისვენებ?" მე კი ვამჯობინებ ვიმუშაო და სამუშაოსგან სიხარულს ვღებულობ. პესიმისტებიც ნუ იქნებით! ესეც დროის ფუჭი ხარჯვაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დროება იცვლება.

უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას. მეცნიერებას არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და არა აქვს რეფლექსები. ნუ ცდილობთ გადაწყვიტოთ წარსულის პრობლემები რადგან მე ვეჭვობ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია წარსული საერთოდ არანაირ როლს არ თამაშობს. უბრალოდ შეისწავლეთ ის, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ. წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი.

ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს რაღაც "ახსოვდეთ" და არა რაღაც "წარმოიდგინონ" – ეს ყველაზე დიდი შეცდომაა. რა გინდათ რომ გახსოვდეთ? ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა? **ისტორიაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ისტორიკოსები მეფეების და ხელისუფალთა მაცნეები იყვნენ. ისინი იმას ამბობდნენ რაც მათ აწყობდათ.**

ადამიანებს ეშინიათ რაღაცის, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა დაგვემართება.

ხანდახან მეკითხებიან: თუ უკან მოიხედავთ, როგორი იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომები?

მე ვპასუხობ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დიდი ოცნებები გვქონდა ახლა კი ვხდებით, რომ ეს ოცნებები არც ისე დიდი ყოფილა

იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ თქვენ.

თქვენი ახალი თაობა ბრწყინვალეა, მაგრამ რაც მე მაბრაზებს მათში, არის ის, რომ მათ სძულთ პოლიტიკოსები. ისინი ამბობენ: პოლიტიკა კორუმპირებულია, ის არაა ჩვენთვის. მე ვპასუხობ: თქვენ გინდათ წესიერი პოლიტიკა? წადით პოლიტიკაში და თქვენ გააკეთეთ წესიერი პოლიკა!

ზოგჯერ ადამიანები მეკითხებიან, **როგორ უნდა დავრჩეთ აქტიურები? ეს ძალიან ადვილია: დაიანგარიშეთ მიღწევები და ოცნებები. თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მიღწევები ეს ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ თუ პირიქითაა – ნიშნავს, რომ მოხუცდით.**

ეს ის გაკვეთილებია, რაც მე წარსულიდან გამომყვა" აცხადებს შიმონ პერესი.

უკრაინულ მედიაზე დაყრდნობით
კახაბერ ადამია „თაიმერი"

თელ-ავივი ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ძვირი ქალაქი

ამას ადასტურებს შვეიცარიის ბანკ Uubs-ის ანგარიში. ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქების სიაში71 ქალაქი მოხვდა. შეფასების კრიტერიუმი ფასის დონე ხელფასის ინდექსი და მისი მსყიდველობითი უნარი გახლდათ. ასეთ ძვირ ქალაქთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ პარიზი,ციურიხი დანიუიორკი.

საერთო რეიტინგში ფასების დონის მიხედვით თელ-ავივი 22-ე ადგილზე გამოვიდა,მაგრამ როცა ხელფასის დონეზე მიდგა საქმე, თელ-ავივი 33-ე ადგილზე აღმოჩნდა.

და მაინც თელ-ავიველები ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მაღალ ხელფასს იღებენ. მოხსენებაში ნათქვამია,რომ ციურიხელებს, ჟენეველებს და ლუქსემბურგელებს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხელფასი აქვთ, მაშინ როცა ჯაკარტაში, ნაირობსა და კიევში ყველაზე დაბალი. მსყიდველობითი თვალსაზრისით, ლუქსემბურგი, ციურიხი და ჟენევა ყველაზე მიმზიდველია, რეიტინგში ბოლო ადგილზე აქაც ნაირობი, ჯაკარტა და კიევია.ახლო აღმოსავლეთში მსყიდველობითი თვალსაზრისით თელ-ავივი პირველობას დუბაის უთმობს, მაგრამ უსწრებს კაიროს.

ამ გამოკვლევის თანახმად, თელ-ავივის მშრომელმა 21 წუთი უნდა იმუშაოს, რომ იყიდოს სენდვიჩი ,,ბიგ მაკი", 12 წუთის შრომაა საჭირო, რომ ერთი კილო პური, ან ბრინჯი იყიდოს.

უმანში ძალიან ბევრი ხასიდი ჩავიდა

ებრაული ახალი წლის — როშ ჰა შანის — წინ უკრაინის ქალაქ უმანში რაბი — ნახმანის საფლავზე მოსალოცად ძალიან ბევრი ხასიდი მომლოცველი ჩავიდა ისრაელიდან, აშშ-დან და ევროპის ქალაქებიდან. ჩერკასკის მილიციის პრესცენტრის ცნობით, წელს უმანში 29.490 ათასი ადამიანი ჩავიდა. ეს სარეკორდო ციფრია. შარშან კი 20 ათასზე ცოტა მეტი მომლოცველი იყო.

როშ ჰა შანის დღეებში უმანში საზოგადოებრივ წესრიგს 400 უკრაინელი სამართალდამცავი და 15 ისრაელელი პოლიციელი იცავდა. izrus-ის ცნობით, წელს ხასიდმა მომლოცველებმა უკრაინის არმიის საჭიროებისათვის 300 ათასი გრივნა შესწირეს.

ობამას საყვარელი კერძი

აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ებრაული გამოცემა ,,ფორვარდისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა,რომ უყვარს ბეიგლი ერბოიანი ყველითურთ. ეს ინტერვიუ ეძღვნებოდა ირანის ბირთვულ პროგრამასა და აშშ-ისრაელის ურთიერთობას. ინტერვიუს დასასრულს ,,ფორვარდის"რედაქტორმა აშშ პრეზიდენტს სთხოვა ეპასუხნა რედაქტორის ერთ-ერთი შვილის შეკითხვაზე: პრეზიდენტს,,ბეიგლიზე" რისი მოყრა უყვარს?

— მე ყაყაჩოს მოყვარული ვარ,მაგრამ გული მტკივა იმის გამო,რომ საცხობი, სადაც ამ ბეიგლებს აკეთებდნენ და მე მიყვარდა, დაიხურა.

ამავე ინტერვიუში ობამამ განაცხადა,რომ მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებას ანტისემიტი არისო, პირად შეურაცხყოფად მიიჩნევს.

— ამას ჩემზე იმიტომ ამბობენ,რომ ირანთან ბირთვულ საკითხზე ხელშეკრულებას მხარს ვუჭერ—თქვა პრეზიდენტმა.

ობამამ შეაქო აშშ ებრაელობა იმის გამო, რომ ისინი ინტელექტუალურად ენერგიულნი და მორალურად ძლიერნი არიან.

პირველთა შორის

უკრაინის დამოუკიდებლობის დღის წინ უკრაინული ჟურნალი ,,ნოვოე ვრემია" შეეცადა გამოეკვლია, თუ ვინ არის ამ სახელმწიფოს მოსახლეობის მორალური ავტორიტეტი, ვისი სიტყვა და საქციელი იწვევს უკრაინის მოსახლეობის უთუო პატივისცემასა და მხარდაჭერას.

პირველ ოთხ ადგილზე დასახელებული გახლდათ უკრაინული ეროვნების მოქალაქეები. მეხუთე და მეშვიდე კაცები, ვის სიტყვასა და საქმიანობას ამ ქვეყანაში დიდი ძალა აქვს და პატივს სცემენ, ებრაელები გახლავან. ესენი არიან: სემიონ გლუზმანი—სამართალდამცველი, დისიდენტი, უკრაინის ფსიქიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი და იოსებ ზისელსი—საზოგადო მოღვაწე, დისიდენტი, უკრაინის ებრაული ორგანიზაციების ასოციაციის თანათავმჯდომარე, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე.

,,ქალაქი"

2009 წლიდან მოყოლებული საქართველოში ყოველ შემოდგომაზე ტარდება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრები მონაწილეობენ.წელს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მონაწილენი იყვნენ:დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ლიტვის, უნგრეთის, რუმინეთის, გერმანიის, პოლონეთის, ნორვეგიის თეატრები.

საერთაშორისო ფესტივალი 25 სექტემბერს ისრაელის თეატრის სპექტაკლით გაიხსნა. წარმოდგენილი გახლდათ მუზიკლი ,,ქალაქი", რომელიც იერუსალიმის თეატრმა ,,ინკუბატორმა" გვაჩვენა.

,,ინკუბატორი" დაარსდა 2005 წელს. თეატრის ამოცანაა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს იერუსალიმის კულტურულ ცხოვრებაში.

,,ქალაქი" ისრაელის თეატრალურ სივრცეში პირველი მუზიკლია, რომელშიც უხვად არის რეპის ელემენტები. იგი შექმნილია კომპოზიტორ ომერ მორის მუსიკაზე, სპექტაკლის რეჟისორიც ომერ მორი გახლავთ. ,,ქალაქში" მონაწილეობენ ამიტ ელმანი, ომერ ჰავრონი, ომერ მორი, დორით ლილიენი და რონი რეკეტი.

სპექტაკლი დეტექტივის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, აღსავსეა მიმზიდველი მუსიკალური ნომრებით,სანახაობრიობით, ამიტომაც იყო რომ განსაკუთრებული ხალისით იგი ახალგაზრდებმა მიიღეს—სპექტაკლის მსვლელობისას ხშირად იყო ცხოველი რეაქცია, ოვაციაები.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003